საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის

ბრძანება №44

2025 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – დაზვერვის სააგენტოს ემბლემის, ემბლემის დებულებისა და დროშის დამტკიცების შესახებ

„დაზვერვის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №385 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – დაზვერვის სააგენტოს (შემდგომში – დაზვერვის სააგენტო):

ა) ემბლემა თანდართული ესკიზისა და აღწერილობის მიხედვით (დანართი №1);

ბ) ემბლემის შესახებ დებულება (დანართი №2);

გ) დროშა თანდართული ესკიზისა და აღწერილობის მიხედვით (დანართი №3).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **ანრი ოხანაშვილი**